დაზღვევის ხელშეკრულება N 1

ქ. თბილისი თარიღი: 04/01/2019

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები მოცემულია მისი თანდართული ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის პირობების (შემდგომში „დაზღვევის პირობები“) ტერმინთა განმარტებაში;

1. მხარეები:

სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი, ს/კ 204540274 (მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 32ა), გენერალური დირექტორის ნიჯატ ჰუსეინოვის სახით, (შემდგომში „მზღვეველი“), ერთის მხრივ, და **სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი,** ს/კ 206350312 (მისამართი:ქ. თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. N96), დირექტორის დავით აზმაიფარაშვილის სახით (შემდგომში „დამზღვევი“), მეორეს მხრივ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „მზღვეველი“-ს თანხმობა „დამზღვევი“-ს მიერ, **N MCI-001/18 AUDIT** დაზღვევის პირობებით (დანართი N1, შემდგომში „დაზღვევის პირობები“) და ავტოსატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო პოლის(ებ)ით (შემდეგომში „პოლისი“) გათვალისწინებული ოდენობითი და წესით სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ, გაუწიოს „დამზღვევს” „დაზღვევის პირობებში/პოლისში“ მითითებული სადაზღვევო მომსახურება;

2.2. „დაზღვევის პირობები“, მათ შორის დაზღვევის საგანი, დაზღვეული პირის ვინაობა, სადაზღვევო რისკი, დაზღვევის დასაწყისი და მისი ხანგრძლივობა, სადაზღვევო თანხისა და სადაზღვევო შესატანის (პრემის) ოდენობა (მისი გადახდის პირობების ჩათვლით), მოცემული იქნება „მზღვეველის“ მიერ გაცემულ „პოლის(ებ)ში“, რომლებიც „დაზღვევის პირობებთან“ და წინამდებარე ხელშეკრულებასთან ერთად არეგულირებს დაზღვევის ცალკეულ ობიექტებთან დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობას.

2.3. „დაზღვევის პირობები“ განსაზღვრულია შესაბამისი დანართით (N1), რომელიც „პოლის(ებ)სა“ და დამზღვევის მიერ შევსებულ დაზღვევის განაცხადთან ერთად წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ამასთან, „პოლისი“ წარმოადგენს განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც მისი მიღების შემდგომ „დამზღვევს“ უფლებას აძლევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურება.

2.4. სადაზღვევო მომსახურების გაწევის ვადა (სადაზღვევო პერიოდი) არის 2019 წლის 04 იანვრიდან 2019 წლის 04 მარტამდე.

3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით “მზღვეველი”:

3.1.1. უფლებამოსილია, მოსთხოვოს „დამზღვევს“ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

3.1.2. ვალდებულია, გაუწიოს „დამზღვევს“ მაღალი ხარისხის სადაზღვევო მომსახურება;

3.1.3. ვალდებულია, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, „დაზღვევის პირობების“/“პოლისის“ შესაბამისად უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს ზიანის ანაზღაურება;

3.1.4. ვალდებულია, ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულებით „დამზღვევი“:

3.2.1. უფლებამოსილია, მოსთხოვოს “მზღვეველს” მაღალი ხარისხის სადაზღვევო მომსახურება და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

3.2.2. ვალდებულია, “მზღვეველს” მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია სადაზღვევო ინტერესთან დაკავშირებით;

3.2.3. ვალდებულია, ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მისი ძალაში შესვლისა და შეწყვეტის პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 04/04/2019-მდე. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში და მის ფარგლებში გაცემულ ყველა „პოლისზე“ ვრცელდება და ძალას ინარჩუნებს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ცალკეული „პოლისის“ მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულება წყდება:

4.2.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში;

4.2.2. ვადაზე ადრე, ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, ერთი თვით ადრე მაინც ჩაბარებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, მეორე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სისტემატურად შეუსრულებლობის შემთხვევაში;

4.2.3. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ნებისმიერ დროს;

4.2.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების არსებობისას.

5. კონფიდენციალურობა

მხარეების მიერ ერთმანეთისათვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია, დოკუმენტაცია და/ან სხვა ცნობები, რომელებიც წარმოადგენენ კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, მიუხედავად მათი წერილობითი ან ზეპირი ფორმისა, ითვლება კონფიდენციალურად და მხარეთა წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეთ მესამე პირებს.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები დროებით თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ზემოთხსენებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების მიზეზი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა იყო.

6.2. ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარეთა ვალდებულებები წყდება მხოლოდ დროებით და სრულად ახლდება ამ გარემოებათა დამთავრების ან აღმოფხვრისთანავე; ამასთან, თუ ფორს-მაჟორული გარემოება გრძელდება 2 (ორი) კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში, თითოეულ მხარეს შეუძლია წერილობით მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა.

6.3. მხარე, რომლისთვისაც დადგა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია ასეთი გარემოების დადგომისთანავე აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან, ფორს მაჟორული გარემოება დადასტურებულ უნდა იქნეს საქართველოს სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოების მიერ.
6.4. წინამდებარე ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებას, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს და არ არის დამოკიდებული ამ ,,ხელშეკრულების" მონაწილე მხარეებზე;

7. სადავო საკითხების განხილვა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებისათვის, მხარეთა მიერ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია "მზღვეველის" ფაქტობრივი მისამართი;
7.2. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეთა შორის წარმოშობილი დავები წყდება მხარეთა ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოს მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დამატებითი პირობები

8.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი უფლებები ან/და ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს;
8.2. წინამდებარე ,,ხელშეკრულების" პირობების დადგენის პროცესში წარმოებული მოლაპარაკებები და სიტყვიერი შეთანხმებები ,,ხელშეკრულების" პირობებად არ მიიჩნევა. ,,ხელშეკრულების" დებულებების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წერილობით და ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერით;
8.3. მხარეთა შორის შეტყობინების გაგზავნა მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ რეკვიზიტებზე. რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში, მხარეებმა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობონ ერთმანეთს; შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, რომელიც უფრო გვიან დგება;
8.4. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში, ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე;
8.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი თუ დამატება (შესწორება) წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მათში მოცემული პირობები აღსრულდება ხელშეკრულების პირობებთან ერთობლიობაში;
8.6. მხარეთა უფლება-მოვალეობები და წინამდებარე ხალშეკრულების შესრულების პირობები, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით გათავლისწინებული წესით;
8.7. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ხელმოწერის შემდეგ თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს;

8.8. წინამდებრე ხელშეკრულებას დანართის სახით ახლავს და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს შემდეგი დოკუმენტაცია:

დანართი N1: MCI-001/18 AUDIT - ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევის პირობები;

დანართი N2: დაზღვევის პოლის(ებ)ი;

დანართი N3: ავტოსატრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობ(ებ)ის ასლები.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

მზღვეველი	დამზღვევი
სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი ს/კ: 204540274 მის.: ალ. ყაზბეგის გამზ. 32ა,0177, თბილისი, საქართველო ტელ.: (+995 32) 224 15 25/*1115 ელ.ფოსტა:info@primeinsurance.ge საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ კოდი: BAGAGE22 ა/ა: GE71BG0000000622481900 _____ ნიჯატ ჰუსეინოვ გენერალური დირექტორი	**სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი** ს/კ: 206350312 მის.: წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. 96, თბილისი, საქართველო ტელ.: (+995 32) 322 438 133 ელ.ფოსტა“: sai@sao.ge საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ა/ა: 707727519 _____ დავით აზმაიფარაშვილი დირექტორი

David Azmaiparashvili

Digitally signed by David Azmaiparashvili
Date: 2019.01.14 18:01:47 +04'00'